ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N29

19.04.2019
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 19 აპრილს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -**გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ"** *ინფორმაცია (12-031905990-03, 28.02.2019).* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი)
2. **,,მიმდინარე საკითხები"** (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე** სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

სხდომა წარიმართა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის და სარევიზიო კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ზარქუა.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ. თბილისის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძე - მოგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი მთლიანობაში შეადგენდა 35, 566.0 ათასი ლარს, ხოლო 2018 წლის ბოლოსთვის, 2019 წლის ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის სახით გადავიდა 63, 085.0 ათასი ლარი. შემოსულობების გეგმა 2018 წელს განსაზღვრული იყო 1, 52, 185.0 ათასი ლარით და გეგმის 104%-ით შესრულდა, ანუ 1, 94, 000.0 ათასი ლარი, იყო მთლიანად ბიუჯეტის შემოსულობები. გადაჭარბება შემოსავლების ნაწილში გამოიწვია, 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა, კერძოდ კი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ნაწილში, ჯარიმების ნაწილში მოსაკრებლის ზრდამ, ასევე კ2 კოეფიციენტის გაყიდვის ზრდამ დაგეგმილზე მეტით, აღსანიშნავია, რომ კ2 კოეფიციენტის გაყიდვა 2017 წელთან შედარებით ორჯერ შემცირებულია 2018 წელს. რაც შეეხება გადასახდელების ნაწილს, მთლიანობაში შესრულდა 98%-ზე მეტით.

2018 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირი სურათი გვაქვს: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 297,807.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (304,437.2 ათასი ლარი) 97.8%-ია; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 174,491.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (179,357.9 ათასი ლარი) 97.3%-ია; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 138,676.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (140,287.1 ათასი ლარი) 98.8%-ია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1,888.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,257.3 ათასი ლარი) 83.7%-ია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 17,662.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (18,219.6 ათასი ლარი) 96.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 192,866.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (194,113.5 ათასი ლარი) 99.4%-ია; განათლება - 140,951.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (142,726.2 ათასი ლარი) 98.7%-ია; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,016.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (28,665.7 ათასი ლარი) 94.2%-ია; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,604.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,633.8 ათასი ლარი) 99.2%-ია; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 71,610.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (73,165.3 ათასი ლარი) 97.9%-ია.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-031905990-03, 28.02.2019) საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა: ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ" (12-031905990-03, 28.02.2019) საკითხის გატანას, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების, ასევე კომისიის მიერ დაგეგმილი მიმდინარე პროექტების და ღონისძიებების შესახებ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ, განიხილა შალვა ოგბაიძის შუამდგომლობა (N:03-031906536; 06.03.2019), რომელიც ეხებოდა ყოფილი სპორტსმენის ამირან აბუაშვილისთვის, საზღვარგარეთ სარეაბილიტაციო კურსის ჩატარების მიზნით, ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურებას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ აღნიშნული საკითხი განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის შესაბამისი შუამდგომლობის გადაგზავნა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

გიორგი ჩაკვეტაძე